ხელშეკრულება № 26
გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხონი,სოფ.გუბი 1ნოემბერი 2016 წ.

ერთის მხრივ, სსიპ ვლადიმერ ჯანჯღავას სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ გუბის საჯარო სკოლა (ს.კ.244970796 შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ნანა გეგუჩაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „ამერაუდიტ 2008"(შემდგომში „შემსრულებელი"),წარმოდგენილი მისი დირექტორის დეზდემონ მაღლაკელიძის სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## *1. ხელშეკრულების საგანი*

1.1.წინამდებარე ხელშეკრულების საგანია:სსიპ ვლადიმერ ჯანჯღავას სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ გუბის საჯარო სკოლაში ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამული პაკეტები (კლასიფიკატორის კოდი 48440000),საბუღალტრო მომსახურეობები (კლას.კოდი 79200000)შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულების გათვალისწინებული პირობების,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-3 მუხლის „ს"პირველი პუნქტის შესაბამისად,გამარტივებული შესყიდვების საშუალებით.

## *2. შესყიდვის ობიექტი*

2.1. შესყიდვის ობიექტია ბუღალტრულ აღრიცხვაში გამარტივებული კომპიუტერული პროგრამების შემუშავება,დანერგვა და სწავლება,პრაქტიკული დახმარება კომპიუტერულ პროგრამებში,ოპერაციების შეტანასა და 2015 წლის და 2016 წლის 11 თვის ფინანსური ანგარიშგების შედგენაში.

## *3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება*

3.1. საქონლის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.

3.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1500 (ათასხუთას) ლარს.

## *4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია*

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

## *5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები*

5.1. მომსახურეობის მიწოდების ადგილია: ხონი,სოფელი გუბი.

5.2. მომსახურეობის შესყიდვის პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (სასაქონლო ზედნადები და/ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში საგადასახადო ანგარიშფაქტურა).

5.3.მომსახურეობის მიწოდების ვადა განისაზღვროს 2016 წლის 31 დეკემბრით.

## *6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი*

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით.

## *7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი*

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის შესყიდვისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.

## 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- მიღება-ჩაბარების აქტის შედგენამდე შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## 9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, მეორე მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში დამრღვევი მხარე ვალდებულია გადაიხადოს ჯარიმა შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების/გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.3. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.5. ხელშეკრულებიდან გასვლასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

## 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრამდე.

## 11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების მიმართ, მათ შორის, ფასის შეცვლასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა.

## 12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### *14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები*

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდებისას, სასაქონლო ზედნადების გამოწერამდე განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და მოთხოვნებთან.

14.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.3. სასაქონლო ზედნადების გამოწერამდე გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### *15. სხვა პირობები*

15.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ინახება მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე

15.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

### *16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:*

შემსყიდველი:

**სსიპ „ვლადიმერ ჯანჯღავას სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ გუბის საჯარო სკოლა“**

მისამართი: ქ. ხონი, სოფელი გუბი
ს/კ 244970796
სს „ლიბერთი ბანკი“
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა: GE83LB0121180415042000

ტელ:577673781

დირექტორი:

/ნ. გეგუჩაძე/

მიმწოდებელი:

შპს ,,ამერაუდიტი 2008”
მისამართი:ქ.ქუთაისი დ.აღმაშენებლის გამზარი N 125/57

სს ,,პროკრედიტ ბანკი”
ბანკის კოდი:MIBGGE22
ა/ა GE79PC0013600100034004
ს/კ 212913481
ტელ:555539093
შპს,,ამერაუდიტ 2008”-ის დირექტორი:

/ დ.მაღლაკელიძე/